


ალ. მანველიძე



ქრისტიანობა საქართველოში

CHRISTIANITY IN GEORGIA



კ ა რ ი ზ ი

1964

ქრისტიანობა საქართველოში

1. წყაროები საქართველოს გაქრისტიანების შესახებ.
2. ქრისტიანობის დასაწყისი და საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მისი შემოქრისტობის დროს.
3. საქართველოს მიერ ქრისტიანობის მიღება და მისი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება.
4. ქრისტიანობის განმტკიცება და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.
5. ქრისტიანობის კულტურული და პოლიტიკური როლი ქართველოში ცხოვრებაში.

1.

ქრისტიანობის გავრცელების ისტორია საქართველოში ჯერ კიდევ სერიოზულად არ არის შესწავლილი. ამიტომ მისი დეტალების განხილვაში ვერ შევალთ. მით უმეტეს, რომ ის რაც ცოტა ბევრად გამოჩვენებულია, კვლავ დღის საგნად არის ქცეული. ჩვენი ყურადღება მიბრუნებული იქნება საერთო მოვლენებისადმი, რაც უფრო ნაკლებად შეგვიყვანს შეცდომაში.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ უმთავრესი წყაროები, ქართული და უცხოეთის, რომელნიც ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდიან და რომელთა უკვე დღევანდლამდე წარმოებულ კრიტიკული შესწავლა საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ ზოგადი სურსათი საქართველოში ქრისტიანობის შემოქრისტობისა და მისი გავრცელებისა.

*) მოხსენება, წაკითხული წმ. ნინოს დღესასწაულზედ 16 იანვარს 1954 წ. პარიზის ქართ. სათვისტომოში.

პირველი ქართული სამწერლო ძეგლები: „წამება წმ. შუშანიკისა“ (5 ს.), „წამება წმ. ევსტათე მცხეთელისა“, „წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა“ და სხ. თუმცა ვრცლად აგვიწერენ ქრისტიანობისა და წარმოართობა — ცეცხლთაყვანისმცემლობის შორის ბრძოლის, თვით საქართველოს გაქრისტიანებაზედ არაფერს ამბობენ.

1. პირველი ქართული წყარო რომელიც ამ საკითხს ოდნავ ეხება, არის დაწერილი მერვე საუკუნეში, „წამებაი წმიდისა აბოისი“. სადაც ავტორის, იოანე საბანისძის მიერ მხოლოდ ის არის მოხსენებული, რომ მის დროს საქართველო 5 საუკუნით ადრე ყოფილს მოქცეული. ძნელია თქმა იმისა ეს ცნობა რამდენად მართალია. ან და ქრისტიანობის პირველ შემოჭრას გულისხმობს თუ მის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას. ყოველი შემთხვევაში საბანისძის ცნობით, საქართველო მესამე საუკუნეში უკვე გაქრისტიანებული ყოფილა.

2. მეორე და უმთავრესი წყარო მანც არის „მოქცევაი ქართლისაის“ მიტანე რომელიც შეიცავს წმ. ნინოს ცხოვრებას და რომლის ერთი ახალი ვარიანტი გამოაქვეყნა ექვ. თაყაიშვილმა 1891წელს მეცხრე - მეთათ საუკუნის შატბერდისეული კრებულის მიხედვით.

3. მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველიც, რომელიც ეხება საქართველოს ისტორიის დასაწყის ხანას, ლაპარაკობს აღმოსავლეთ-საქართველოს გაქრისტიანებაზედ წმ. ნინოს მიერ და დასავლეთ საქართველოსა ანდრია მოციქულის მიერ. ავტორი ერთ-ერთ წყაროდ აგრძედვე ასახელებს „მოქცევაი ქართლისაის“.

4. მროველის გარდა მეთერთმეტე საუკუნეში სხვა მწერლებიც შეეხენ ამ საკითხს. ამ დროს ქართველებს პოლემიკა ჰქონდათ ბერძნებთან და საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, ქართველები სცდილობდნენ დაემტკიცებინათ ბერძნებისათვის, რომ საქართველოში ქრისტიანობა პირველ საუკუნეებშივე იყო გაქცელებული, და რომ ის შედიოდა ქრისტეს მოციქულთა საერთო პროგრამაში, რომლის წარმომადგენელიც საქართველოში იყო ანდრია პირველწოდებული.

ამ პოლემიკის ნათვარი წარმომადგენლის, გიორგი შთაწმინდელისაგან ბევრი არაფერი დაგვიჩვენია. ამიტომ ანდრიას საქართველოში მოგზაურობის შესახებ ადრინდელი ქართული წყაროების შესახებ არაფერი ვიცით. და როგორც შემდეგ ვნახავთ ამ მოვლენაზედ დამყარებით ივ. ჯავახიშვილმა ანდრიას მოგზაურობის საკითხი ლეგენდათ აღიარა, შეთხზული მეთერთმეტე საუკუნის ბერების მიერ ბერძნებთან პოლემიკაში გამოსაყენებლად. ამავ საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა ევრომ მცირემ დასწერა სპეციალური თხზულება სათაურით: „უწყებათ მიზნისა ქართველთა მოქცევისა თუ რომელსა წიგნთა შინა მოიხსენების“. მან ქართულ ცნობებს გარდა ისარგებლა ბერძნული წყაროებითაც. რაც დღეს ჩვენითვის უცნობია.

5. მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში წმ. ნინოს ცხოვრებას ზოგიერთი კრიტიკა ვაუწყეთა არსენ კათალიკოსმა. მან აღნიშნულ მოთხრობაში შეიტანა შესწორებანი სხვა წყაროების დახმარებით.

6. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ანტონ კათალიკოსმაც აღნიშნა ბერძნულ და ქართულ წყაროთა შეუსაბამობანი.

და ამაირად, მეთორმეტე საუკუნეში დადგენილი ტექსტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ნეცხამეტე საუკუნემდე უდაოდ იყო მიჩნეული.

საკმარისი მასალა მოიპოვება ძველ უცხო მწერლობაშიც.

1. პირველი უნდა დავასახელოთ ცესები კესარიის ეპისკოპოსი, რომელიც სცხოვრობდა 267 - 340 წლებში. მან დასწერა საეკლესიო ისტორია, სადაც იხსენიება ანდრია მოციქულს, რომელსაც მოსაქცევად წილად ჰხედრია სკვითების ქვეყანა. ის თავის მხრივ ამოწმებს გამოჩენილ ალექსანდრიელ თეოლოგს ორიგენს, რომელიც სცხოვრობდა 185 - 254 წლებში.

2. კვიპროსის ეპისკოპოსი წმ. ეპიფანე, რომელიც სცხოვრობდა 310 - 403 წლებში, აღნიშნავს, რომ მასზედ ადრინდელი დროის წიგნებში წაუკითხავს ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ სკვითებსა და კოლხიდაში.

3. ამ ცნობებს ადასტურებს მეხუთე (449) საეკლესიო სინოდის ლიონის ეპისკოპოსი ეუშერი, ხოლო მეშვიდეში წმ. ისიდორე და სხვები.

4. საქართველოს გაქრისტიანების ამბებს ეხება ბერძენთა მწერალი გელასი კესარიელი, რომლის ცნობებიც გამოაქვეყნა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილმა. ეს თხზულება დაცულია კომპილიაციის სახით და მოგვითხრობს წმ. ნინოს ამბებს.

5. თეოდორიტი კვირელაც თავის საეკლესიო ისტორიაში ლაპარაკობს საქართველოს გაქრისტიანებაზედ. ისტორია დაწერილია 448 - 449 წლებში.

6. მეექვსე საუკუნეში იეგარი ანტიოქელიც ეხება ამ საკითხს თავის საეკლესიო ისტორიაში.

7. ამ საკითხზედ უბი ცნობები მოიპოება მეხუთე საუკუნეში ასურულ ენაზედ დაწერილ, პეტრე ქართველის ცხოვრებაში. ის შემდეგ საუკუნეებში ქართულადაც ითარგმნა; ივ. ჯავახიშვილი სწორედ ამ წყაროს ემყარება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო საწმენოებად გამოცხადების დროის დათარიღებისათვის.

8. მეოთხე საუკუნეში მას ეხება რუფინუსიც.

9. საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ცნობები დაცულია სონსური მწერლობაშიც. მოსე ხორენელი წმ. ნინოს მოქმედებას უკავშირებს სომეხთა განმანათლებელს წმ. გრიგოლს.

ეს არის უმთავრესი ადრინდელი წყაროები.

ჩვენს დროს მას შეეხენ ძალიან ბევრი უცხო და ქართველი მეცნიერი. ქართველი ავტორებიდან უნდა დავასახელოთ: ექვ. თაყაიშვილი, ნ. მაჩხი, მიხ. თამარაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კორ. კეკელიძე, სარგის კაკაბაძე, ლეონ მელქისედეცი, მიხ. წერეთელი, ს. ყაუხჩიშვილი და სხ. უცხო მასალების უმთავრესი აღმომჩენია მიხ. თამარაშვილი, ხოლო საკითხის უკანასკნელი ყველაზედ ვრცელი კრიტიკა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს.

დღეს თუმცა საკითხი მთლად გამორკვეული არ არის, მაგრამ ზოგი რამ მაინც გამოიკვება; სახელდობრ ამ წყაროებიდან რა არის ლეგენდარული და რა შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს.

ამ კვლევა - ძიების ნიადაგზედ ჩვენ შეგვიძლია, ზო-

გად ხაზებში ნაინც აღვადგინოთ ქრისტიანობის გავრცელების ისტორია საქართველოში. როდის შემოვიდა ის, საიდან, რა პირობებში და ვის მიერ იყო გავრცელებული.

2.

სანამ უშუალოდ ქრისტიანობის შემოქმადს შევხვებოდეთ, უნდა გავითვალისწინოთ საერთოდ ქრისტიანობის გავრცელებისა და იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარება, რომელსაც შეეძლო ხელის შემლა ან შეწყობა სარწმუნოების გავრცელებისათვის.

ქრისტიანობა წარმოიშვა იუდეველთა ქვეყანაში, პალესტინაში. ეს იყო ერთი დიდი ცენტრი არქაული ცივილიზაციისა. ამ მოძღვრების წარმოშობასა და გავრცელებასაც ორი პირობა დაედო საფუძველად: პოლიტიკური და ედუოლოგიური. ამ დროს დასავლეთ აზიის მთავარ ნაწილში რომი ბატონობდა. მათ შორის კავკასიაშიც. რომი, იერუსალიმი, მცხეთა. აი სამკუთხედი სადაც ვრცელდება რომის იმპერია და ხელს უწყობს უნივერსალურ იდეათა წარმოშობას. ქრისტეს მოძღვრებასაც თავიდანვე ეს ხასიათი დაჰყვება. პალესტინაში წარმოშეებული მოძღვრება უნდა ყოფილიყო დამყარებული იმედის მცნებაზედ. რაც ქრისტიანობამ თავისი მოძღვრების ქვა - კუთხედად აქცია. ქრისტიანობის სოციალური და იურიდიული მცნებანიც უნივერსალურ ხასიათს ატარებენ: თუ მას ერთის მხრივ დანაგრეული პალესტინის სულისკვეთება ააზრდობდა, მეორეს მხრივ ხელს უწყობდა რომის საიმპერიო პოლიტიკა და ანაგრებდა აღმოსავლურ სტოიციზმი და ბქმენთა ფილოსოფია.

ნათიერად გაძლიერებული რომი მოიცვა სულთქრმა სიცალიერემ. სებერძნეთის აზროვნებით ამაღლებულ ადამიანს ველარ აკმაყოფილებს ის სულთქრი საზრდო, რასაც წარმართული რელიგია აწიდიდა. აღბად მაშინაც აღარ სწამდათ და სჯეროდათ იმპერიის ნოწინავე წრეებს წარმართული კერპების სასწაულომოქმედებაში, რომელნიც ასე უხვად ლეგენდებად არიან გადმოცემულნი. იგი ვერ აკმაყოფილებდა დაბალ ხალხსაც, რომელიც განიცდიდა ორგვარ ჩაგვრას: პოლიტიკურსა და ეროვნულს იმპერიის საზომით და სოციალურს რომის ფარგლებში.

ამიტომ იყო რომ დაბალ ფენებში უფრო ადრე მოვი-
და ფეხი ახალმა მოძღვრებამ.

წარმართობა რომელიც იმ დროს ბატონობდა, აღარ
შეუფერებოდა იმდროინდელი ადამიანის კულტურის
დონეს. ის აგრედვე იყო ადგილობრივი ხასიათისა; ხო-
ლო ქრისტიანობა დამყარებული ელითა ფილოსოფია-
ზედ და უნივერსალური დოგმებზედ, ერთნაირად უპასუ-
ხებდა განვითარებული კაცობრიობის მისწრაფებათ და
აგრეთვე წარმართობის კარჩაკეტილობის გარღვევით
თვით იმპერიალისტურ სულისკვეთებასაც. ჩაგრულოთ სა-
იქო ნეტარებას დაპირდა, საზოგადოებრივ ღრთიერ-
ობაში ვადანსროლა ძმობა, ერთობისა და უფლებრივი
თანასწორობის დოგმები. იქადაგა ახალი მოხალი, რომ-
ელიც გაზრწნილებს გზაზედ შემდგარი რომის საზო-
გადოებას მშვიდობისა და წესიერების პირობას აძლევდა.
ადამიანის სულიერ სიცალიერეს რელიგიური გრძნო-
ბა აესებდა. მანამდე, მის ზებუნებრივ მიზანს ყველა
რელიგია სცნობდა. მაგრამ ქრისტიანობამ აქ ახალი სი-
ტყვა სთქვა. სულის თანასწორობა ზეცის წინაშე უკვე
ცნობილი იყო აღმოსავლეთის ხალხთა შორის. თანასწო-
რობა კანონის წინაშე ცნობილი იყო მე-12 ცნებაში.

მაგრამ სიყვარული ღვთისა და მოყვასისა, საკუთა-
რი თავის სიყვარულის ფორმით:

„გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“
იყო სრულიად ახალი დოქტრინა. აქ პირველად იყო მო-
ცემული პირენების უნივერსალური დაფასება. ეს დო-
ქტრინა იყო ერთი დიდი გამარჯვება ბუნების კანონე-
ბის წინაშე. ქრისტეს მოძღვრებამ ადამიანი ძალუმად
დაუპირდაპირა ბუნების ფატალობას და ის გადაიქცა სო-
ციალური ევოლიუციის ძლიერ ბერკეტად, რომელიც
შემდეგ საზოგადოებას მსჯელებს ახალ კანონებს და ცხო-
ვრებას ახალ მიმართულებას.

ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობა წარმოშეებული აღმო-
სავლეთში, დასავლეთშიც მალე გავრცელდა. ნიადაგი
ყველგან მომზადებული იყო იქამდე, რომ მიუხედავად
ძველ რელიგიასთა წინაღმდეგობისა, ვერც რომის იმპე-
რატორების დევნამ, დაწყებული ნერონით და გათავე-
ბული დიოკლიტიანით, ვერ შეაჩერეს ქრისტიანობის

გაერკელება. და მთავარ ცენტრდაც სწორედ რომი იქ-
ცა, რომლის პირველი ეპისკოპოსაც იყო წმ. პეტროს,
ხოლო საწმენოების ნამდვილი დამფუძნებელი წმ. პავ-
ლე, რომელსაც თავი მოსჭრეს რომის ახლოს და რომლის
წამების ძეგლი დღესაც დაცულია.

1-2 საუკუნეებში ქრისტიანობა დიდად იღვწებოდა. მე-3-ე
საუკუნეში ის ფართოდ ვრცელდება მთელს იმპერიაში
და კერძოდ რომშიც. თუმცა მთავრობა არა სცნობს, მა-
გრამ მან ანგარიშს უწყევს და ნელ-ნელა დათმობაზედ
მიდის. დევნა ნელდება. ამ საუკუნეში ქრისტიანობის გა-
მაგრებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ დროს
რომში იქმნება დიდი საქრისტიანო მწერლობა. მწერა-
ლთა რიგებში კი ვხვდებით მეტად განათლებულ პირებს,
აღზრდილთ რიტორთა და ფილოსოფოსთა სასწავლებლე-
ბში. ალექსანდრია, კართაგენი, რომი იქცენ მთავარ მუ-
მოქმედების ცენტრებად.

ამ დროს აღმოსავლეთში განთქმული იყვნენ წმ. კლემ-
ენტე ალექსანდრიელი და ორიგენი, რომელნიც სცდილო-
ბენ ქრისტიანობას გამოუნახონ ფილოსოფიური დასა-
ბუთება. პირველი სცდილობს გადასჭრას ძველი საბერძ-
ნეთის ფილოსოფიისა და ქრისტიანობის ურთიერთობის
საკითხი. მეორე სწერს მრავალ შრომებს, ფილოსოფი-
ურსა და დოგმატიურს. თაყვანისმცემელია არისტოტე-
ლისა და პლატონის. დიდი მორწმუნე, ასევე, მისტი-
კოსი. მან ჩაუყარა ფრთა მთავარი საფუძველი სამეცნიერ-
ო თეოლოგიას.

ორიგენი იყო მთელს აღმოსავლეთში ქრისტიანობის
პირველი დიდი თეორეტიკოსი. გარდა აღმოსავლეთის
თვით რომი იყო რელიგიური ჭიდილის მოედანი. მესამე
საუკუნეში მიმდინარეობდა პაექრობა ჰიპოლიტსა და კა-
ლისტის შორის. პირველი იყო თეორეტიკოსი, მეორე—
ადმინისტრატორი, ყოფილი ტყვე და მარც-ავერელის
წყალობით დაწინაურებული, რომელიც მერე გახდა პაპი.

თუ ორიგენი აღმოსავლეთში სცდილობდა ქრისტიან-
ობის თეორიულ საფუძვლის გამაგრებას, კალისტმა ის
პრაქტიკულად გააძლიერა და მთი წყალობით ნობდა,
რომ კოსტანტინე იმპერატორმა 313 წ. მილანის უდიკტით
ჯერ თავისუფლება გამოაცხადა ქრისტიანობისა და მერე

როგორც იყო მდგომარეობა ამ დროს საქართველოში. პირველ საუკუნეებში ქართულს მოდემის ხალხი იმ სამეფოდ იყო ჩამოყალიბებული: აღმოსავლეთით იბერია, დასავლეთით კოლხიდა. ამ ორ ქართულ სამეფოს შორის უდაოდ არსებობდა სულიერა და კულტურული კავშირი. მალე მთელი საქართველო რომის იმპერიის ფარგლებში მოექცევა. ქრისტიანობა წარმოიშვა იმპერიის იმ სექტორში, რომელიც გეოგრაფიულად უდგებოდა საქართველოს და ისტორიულადც მათ შორის მდებარე ქვეყნებთან ქართველებს მუდამ პქონდათ კულტურული კავშირი. პაოქსტინიდან ნოყლოვებული უძველეს დროიდანვე უხვად იყო გაბნეული ქართული მოსახლეობა. პონტოს სამეფო რომელიც იყო ერთგვარი ავანპოსტი დიდა საბერძნეთისა, შეიცავდა უმთავრესად ბერძნული და ქართული მოდემის ხალხებს. მას ეკირა არა მარტო კაპადოკია, სადაც უხვად უნდა ყოფილიყო ქართული ჯიშის მოსახლეობა, არამედ ლაზისტანი და ერთ დროს კოლხიდაც კი. მაშასადამე საქართველო ითნიურადაც გადაჯაჭვული იყო წინა აზიასთან და ამით ის იმ თავით ჩამბული იყო ქრისტიანობის წარმოშობის სამყაროსთან.

ასპარეზი, სადაც უნდა გაშლილიყო ქრისტეს მოციქულთა ქადაგობა, თავისთავად გულისხმობდა საქართველოსაც. ის იყო ამ ქვეყნის პროვინცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველ ხანებში ქრისტიანობის გავრცელებას მთავარ ცენტრებში დიდი წინაღმდეგობა ხვდებოდა, ცხადია მქადაგებულთა ლტოლვა პერიფერიებში უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამნაირად, საქართველოს ყველა მდგომარეობა უწყობდა ხელს, რომ ქრისტიანობის პირველ დღესვე მიზანში ყოფილიყო ამოღებული. ამის გამომდინარე უნდა იყოს ცნობილი ქართული თქმულება, რომლის მიხედვით ქართველ ებრაელებმაც მიიღეს მონაწილეობა ქრისტეს გასამართლების საქმეში. ქართულმა წარმოდგენამ აგრედვე არ მოისურვა რომ მასი ქვეყნის ებრაელები მომხრე ყოფილიყვნენ ქრისტეს ჯვარცმისა. და ბოლოს ისიც ვიცით, რომ მათ წილად ხვდათ ქრისტეს კვალი. რომელიც მცხეთაში მოი-

ტანეს. ეს თქმულება უჩრთვარი ისტორიული სიმართლის გამოძახილი უნდა იყოს.

პირველი საუკუნეებში ამ საერთო მდგომარეობას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ რადგან ამ დროს ქრისტიანობა რომში უკვე ფეხს იკიდებდა, საქართველოშიც როგორც მის ვასალურ სახელმწიფოში, მისი შემოქრია ბუნებრივად იქნებოდა.

ამგვარად, პირველი საუკუნეებშივე საქართველო ქრისტიანობის გავრცელების ორბიტაში იყო მოქცეული. ხოლო თუ მან იქ საბოლოოდ ფეხი გვიან მოიკიდა, ეს არც ვასაკვირველია. თვით რომშიც, სადაც ქრისტიანობას მოქაშვედ დახვდა მხოლოდ წარმართობა, იქაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად დაახლოვებით იმავე ხანებში გამოქადაგდა, როგორც საქართველოში.

საქართველოში, ვარდა ეროვნული წარმართობისა, ქრისტიანობას დახვდა ახლად სპარსეთიდან შემოჭრილი ცეცხლთაყვანისმცემლობა. მაშასადამე აქ ქრისტიანობას ორი შტერი ჰყავდა დასაძლევნი: წარმართობა, რომელიც ერში უძველეს დროიდან იყო განაგრებული და მთავრობაც იცავდა და ცეცხლთაყვანისცემლობა რომელიც სპარსელებს შემოჰქონდათ და იყო განაგრებული ირანის ჯარით.

მიუხედავად ამ მძიმე დაბრკოლებისა, ქართველ ერში კიდევ რაღაც სხვა პირობა უნდა ყოფილიყო, რომელიც გზას უკაფავდა ახალ სარწმუნოებას.

ამ პირველი ხანის შესახებ ქართული წყაროები არ მოგვეპოვება. მაგრამ ცოტა გვიანდელ მასალებში, თუ ისინი დაახლოვებით მაინც განიხილავთ ადრინდელ სულელებს განწყობილებას ქართველი ერისა, სტრიქონთა შორის ზოგიერთი რამის ამოკითხვა შეიძლება. ამ მხრივ რომის ანალოგიაც გამოგვადგება.

ქრისტიანობამ ადამიანს მისცა კრწეპცია ყველაზედ პერსონალური, ადამიანის ბუნებას რომ შეეფერებოდა. ადამიანის „მცა“ მის პერსონალობას ცნობა არის შედეგი ხანგრძლივი სოციალური ევოლიუციისა. ქრისტეს მოძღვრება უფრო ამ მაღალი ცნობიერებისათვის იყო მისაწოდები. ამ მხრივ იმდროინდელი ხალხები, გოლები, გერმანელები და სლავები ჩამორჩენილი იყვნენ. ვაცრო-

ებით მომზადებული იყვენ ძველი ხალხები: სუმეოები, ცეციბტელები და სხ. ამ დროს ქართველი ხალხი უფრო მომწიფებული იყო ქრისტეს სჯულისათვის, ვიდრე დასავლეთის ხალხები.

საქართველოში სულიერი მდგომარეობა საკმარისად მომწიფებული ყოფილა ახალი მოძღვრებას მისაღებად. ამ დროს ქართველი ერის კულტურული ევოლიუცია ძალიან შორს იყო წასული. და უხსოვარი დროიდან შექმნილი და გაყინული წარმართობაც ვეღარ უბასუხებდა ქართველი ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას. ქართველიც მსგავსად რომაელისა, სულიერ სიცალიერეს განიცდიდა და მიისწრაფოდა ახალი, უფრო მაღალი იდეალისაკენ. ძველ კერებებს დაკარგული ჰქონდათ ხალხის თვლიში ის ფასი, რაც მათ წინეთ ჰქონდათ. ქართველი ადამიანი ძიებაში იყო ახალი იდეალის, რომელიც მას ახალ სულიერ საზრდოს მისცემდა. ამგვარ სულიერ ამაღლებას მაშინ სწორედ ქრისტეს მოძღვრება უბასუხებდა.

ამეთ სულისკვეთებას გვიხსენებთ გვიანდელ წმ. ნინოს ცხოვრებაში. რომელიც მეფე შირიანის პირით შენდევს გადმოგვცემს:

„ამა წმიდამან (ნინომ) აღანთო გულსა ჩენსა სანთელი ნათლია და შეუღამეს ოდეს მერუნა მე შხის ბრწყინვალე ქრისტე ღმერთი, ჩენი, რომლისა ნათელი მისი არ მოაკლდეს უკუნისამდე. და შექმნა ჩუენ მოძღვარ, და შემართა ჩუენ ესა ქრისტესა ნათლისა ღებთა წმიდითა, და პატროსნიცა ძეგლისა თაყვანისა ცემითა; და ნომცა ჩუენ სჯული ახალი ცხოვრებისა და სიხარულისა; და ღირს მეყნა გემოის ხოლვად საიდუმლოთა უბრწყნელოთა ზეცისათა“.

ხოლო თავის შვილს ანდერძში ეუბნება: „ამა ესე რა შეიცვალა ბნელი ჩენი ნათლად და საკუდილი ცხოვრებად“ და სხ.

ქრისტიანობა სოციალურადაც ჩაგრულ ხალხს სამედიო სიტყვას ეუბნებოდა.

რომის ლეგიონერების მიერ შექმნილი მონური რეჟიმი ადამიანს სულს უხუთავდა და ქრისტიანობა კი განთავისუფლებიასკენ მოუწოდებდა.

ამგვარად, პოლიტიკურად საზღვრებ გახსნილი საქართველო სულიურად და მორალურადაც მზად იყო ახალი მოძღვრების მისაღებად.

საქართველოს
საეკლესიო
სამართლებრივი

3.

✕ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ გვაქვს ორი ნთავარი ვადმოცემა. პირველი შეეხება ანდრია მოციქულის მიერ დასავლეთ - საქართველოს მოქცევას, მაშასადამე პირველ საუკუნეს, მეორე, წმ. ნინოს მიერ აღმოსავლეთ საქართველოს გაქრისტიანებას მე-4 საუკუნეში. ✕ აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევა, ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის ექ ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება, უფრო ადვილი გამოსაჩვენებია; ხოლო ანდრია მოციქულის მოცხადების საკითხი უფრო მხელით არის მოსილი. დავიწყით აქედან.

ჩვენს მიერ ზემოდ მოკლე საუბარო მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქრისტიანობას არაფერი აბრკოლებდა პირველ საუკუნეებშივე შემოქრალიყო საქართველოში, თვით ანდრია მოცხადების ამბავი მართალიც რომ არ იყოს, მაინც ეს ერთგვარი გამოძახილია ამ საუკუნეში ქრისტიანობის შემოქრის ცდისა.

ეს ამბავი ასეა ვადმოცემული ქართლის ცხოვრებაში: ქრისტეს მოციქულთა შორის მოხდა ქვეყნების დანაწილება მოსაქცევად. საქართველო წილად ხვდა დეთისმშობელს მარიამს, რომელმაც იესოს რჩევით ანდრია პირველწოდებულს ვადასცა ეს მისია შესასრულებლად. მასვე გამოატანა თავისი ხატი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში ცნობილია აწყველის დეთისმშობლის ხატად და რომელსაც მიაწერეს იშვიათ სასწაულებს.

ანდრია წამოსული იერუსალიმით, მოვიდა ტრაპიზონში. შემდეგ აქაზაში, გადავიდა სამცხეში. მოიარა აწყვერი, ოცხე და მესხების მოქცევის შემდეგ, გაიარა არტაანზედ, კლარჯეთზედ და დაბრუნდა იერუსალიმში. მაგრამ ქართველები ანდრიას შემდეგ ისევ ვადმადრან ქრისტიანობისაგან. ამის შემდეგ, ანდრია კიდევ მოვიდა საქართველოში. მან მოაქცია სვანები, აფხაზები, გიქები და ვადმადრან სკვითებში. ამ მოცხადების დროს

მას გამოჰყვა სიმონ კანანელი, რომელიც საქართველოში გარდაიცვალა და დამარხეს ნიკოფსიაში. ეს არის ქართული ფეხსია, ანდრია მოციქულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ჩვენი საისტორიო კრიტიკა შეეცადა მის შესწავლას და ივ. ჯავახიშვილმა მას ნაპეტიალური ნარკვევიც უძღვნა. ჯავახიშვილმა ანდრიას მოგზაურობის ამბავი წმინდა ლეგენდად გამოაცხადა. მისი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ანდრიაზედ შექმნილი ფაქტობრივი ეკუთვნის ანა უადრეს მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთა. და რომ ის ამ ხანებში უნდა ყოფილიყო შეთხზული ქართველ ბერთა მიერ. ამ დროს ისინი პოლემიკაში იყვნენ ბერძნებთან და რომ დაემტკიცებინათ ქართული ეკლესიის უპირატესობა, ასაქირო იყო საქართველოს მოქცევა ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულთან ყოფილიყო დაკავშირებული.

მნელია ამ დებულებას გაზიარება. ჯერა საერთო მოსაზრებით, ქართველი ბერები ამ არგუმენტს ისე ადვილად ვერ გამოიყენებდნენ გაწვრთნილი ბერძნის ბერების წინააღმდეგ, რომ ის ყოფილიყო შეთხზული ამბავი. ალბად მათ მაშინ ჰქონდათ ამისთვის სათანადო საბუთები, და შემდეგშიც გამოიჩევა, რომ ასეთი საბუთები ჩვენს დრონდე შემოინახა და რაც ივ. ჯავახიშვილისთვის უცნობი იყო, მისი აღნიშნული ნარკვევის დაწერის დროს.

განოიჩევა, რომ უცხო მწერლობაში, სწორედ პირველ საუკუნიდან მოყოლებული ეს ამბავი მოხსენებულია მრავალ წყაროებში. ეს ცნობები გამოაქვეყნა მის. თამარიშვილმა 1910 წ. ჯავახიშვილის თეორიის გაკრიტიკებით.

ჩა ლირებულეებისაც არი უნდა იყოს ეს კრიტიკა, ერთი რამ ცხადია, რომ ზემოდ ჩვენს მიერ დამახებული წყაროებში, არიან მთელი რივი ცნობები, რომელნიც მოწმობენ ანდრიას მოგზაურობას კოლხიდასა და სკვითებში.

პირველი მწერალი რომელიც ამბობს, რომ ანდრიას სკვითეთი ერგო მოსაქცევალო, არის ორიგენი, რომელიც სცხოვრობდა 183-254 წ.წ. შორის. ამას ამოწმებს ვესსები, შემდეგ ლიონის ეპისკოპოსი ეუშერი, (გვ. 449). სარტუსუსა აგრედვე შეენიშნოთ, რომ რადგან ყველა ძველი მწერლების დამოწმებით ანდრიას სკვითები რგე-

ზია, იქ მისასვლელად ერთად - ერთი უახლოესი გზა კო-
ლხიდახედ გადიოდა და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ
ანდრია ამ ქვეყანაზედ ასე გულკუვად ვერ გაიფიქროდა,
ფიქრობს თამარაშვილი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ,
რომ ძველი მწერლები ხშირად ურევდნენ ერთი მკვლევარ
ში სკვითების ქვეყანას — ჩრდ. კავკასიაში და საქართ-
ველოს. თვით საქართველოც სკვითების ნაწილად მიაჩნ-
დათ. მაგრამ ზოგი ამ მწერალთაგანი პირდაპირაც ასა-
ხელებს ანდრეას მოსკოლს კოლხიდაში. მაგ. მერი ები-
ფანე, რომელიც სტოვერობდა 310 - 403 წლებს შორის;
არის ავტორი წმ. ანდრეას ცხოვრებისა, და სკვითებისა
და კოლხიდის მოქცევას ანდრეას მიაწერეს. ამ ცნობებს
ადასტურებს ტილემონი, 1701 წ. პარიზში გამოცემულ
წიგნში. ძველთაგან კიდევ მოწმობენ ნიკიტა პაფლაგო-
ნელი და სხვები. მაშასადამე ეს ცნობები უცხო მწერლე-
ბისა უდაოდ ამტკიცებენ იმას, რომ ანდრეას საქართვე-
ლოში მოსვლის ამბავი ლეგენდა არ უნდა იყოს. ამას ამ-
აგრებენ სხვა გადმოცემანიც; როგორც ქართული, ისე
რუსული. რომ საქართველოში ქრისტიანობა გაცილებით
ადრე უნდა შენოქრილიყო, ვიდრე ის ოფიციალურ სარ-
წმუნოებად გამოცხადდებოდა, ამას მოწმობს თვით ორ-
ანუ საბანისძე, რომელმაც ქრისტიანობის დასაწყისად მე-
სამე საუკუნე აღნიშნა. აგრედვე ქართლის ცხოვრება მე-
ფე რევ-მართალს მააწერს სახაზების კოდნას პირველ-
მეორე საუკუნეებში. ასეთივე გამოძახილს აქვს ადგილი
ბერძენთა მწერლობაში. პროკოფი სწერს: ლაზები, აფ-
შილები და სხვა ტომები დას. საქართველოსი ძველ
დროშივე ქრისტიანები იყვნენ. მაქვამ სარწმუნოებრივი
ბრძოლა დიდი იყო და ხშირად ხალხი ძველ სარწმუნო-
ებას უბრუნდებოდა ხოლმე. და ისიც ვიცით, რომ დას.
საქართველოში ის ოფიციალურ სარწმუნოებად გვიან
იქმნა გამოცხადებული. თეოფანეს ცნობით ლაზთა მე-
ფეს წათეს, ქრისტიანობა მიუღია 515 წელს.

საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ზოგიერთი
ცნობები დაცულია სომეხთა განმანათლებელის ცხოვრ-
ებაში რომელსაც აგათანგელოსს უბრალობს, და ჯავახიშვი-
ლის სამართლიანი შენიშვნით, ეს ცნობები არ უნდა ებ-
ებოდეს მეოთხე საუკუნის ამბებს. არამედ უნდა იყოს გა-

მოძახილი საქართველოში ქრისტიანობის შემოქრის ადრინდელი ცდებისა. ამნაირად, პირველი საუკუნეების უცხო მწერალთა ცნობებისა და ქართულ-სომხურად გამოცემათა შეფასებისა და საერთო ნოსაზრებებით გაზარებით დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში მღვდელნი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

აქ ქრისტიანობა შემოიჭრა პირველსავე საუკუნეში. ის არა ერთხელ უნდა ყოფილიყო ნაქადაგები, და არა ერთხელ უარყოფილი და ბოლოს სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება უნდა მომხდარიყო მეოთხე საუკუნეში, აღბად რომელებს ძლიერი გავლენის დროს.

ყოტა სხვა მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოში. იბერიაც პირველ საუკუნეებში რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ ამ დროს მათ სარწმუნოებრივ გავლენაზედ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, რადგან ეს ჯერ თვით რომში არ იყო ოფიციალურად ცნობილი. ხოლო საფიქრებელია, რომ პირველ საუკუნეებში აქაც ექნებოდა ადგილი ქრისტიანობის შემოქრის ცდას. მაგრამ ამხელ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

მიუხედავად საბუთების უქონლობისა, მეოთხე საუკუნეში ის სახელმწიფო სარწმუნოებად იქცეოდა, რომ მას ხანგრძლივი ისტორია არ ჰქონოდა, ისე როგორც სხვა ქვეყნებში. თუ ამ ხანაზედ ცნობები არა გვაქვს, სამაგიეროდ ქრისტიანობის განმტკიცების ხანაზედ საკმარისი მასალა მოიპოვება, როგორც ქართულსა, ისე უცხო მწერლობაში. უმთავრესი ქართული წყარო არის წმ. ნინოს ცხოვრება, რომლის მიხედვით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გადაწერა ეკუთვნის მეცხრე-მეთექვსმეტე საუკუნეში, ამ თხზულებამ დიდი კრიტიკა განიცადა და ბევრი რამ მასშიც აღედგინა იქნა გამოცხადებული, მაგრამ ეს მაინც დარჩა აღმ. საქართველოს გაქრისტიანების შესახებ მთავარ დოკუმენტად. მოვიყვანოთ მის მოკლე შინაარსი:

იმ დროს, როდესაც აწამეს წმ. გიორგი ვაპატივილი, იქ სცხოვრობდა ახალგაზრდა ზაბულონი. ის შედის იმპერატორის სამსახურში და ფრანგების დამარცხებით დიდ სახელს მოიხვეჭს. შემდეგ ბრუნდება იერუსალიმში, დაუმეგობრდება იქაურ პატრიარქს და ირთავს ცოლად მის დას სუსანას; მისგან შეიძინა ქალიშვილი ნინო.

როდესაც ნინო 12 წლის შეიქმნა, მშობლები დასცოდნენ ერთმანეთს. ზაბილონი ზერად ალიკვეცა, დედა ღარიბთა და დაქრდომილთა მსახურად დადგა. ასე დაობლდა ნინო აღზრდილი ღვთის სიყვარულისა და მოჭირბოვლების ქვეშ. ის დაუდგა მსახურად დევნილ სომხს ქალს მიაფორს. ამ დედაკაცთან, რომელიც დიდად განსწავლული ყოფილა საღვთო სჯულში, ნინო ფრიად განისწავლა. როდესაც ეს შენიშნა მიაფორმა უთხრა: „ვხედავ შეილო ჩემო ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ღომისასა ძუვისასა, რომელი იზახაბნ ყოველსავე ზედა ოთხფეხსა. გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროის მამლისა და ყოველი ქვეყანაი გუგასა თვალისა შიძისა მკირესა მარჯალიტის სწორსა შეაყენის. და განიხილის, განიცდის საქმელი მისი, ცეცხლებრ დანიახის მოეტევის ფრთენი შოაალებად და მიიძარითის მას ზედა. ეგრედ იყოს ცხოვრებაი შენი წინამძღვრებათ სულისა წმიდისათა“.

ასეთი იყო ამ ქალის ანდერძი ნინოსადმი.

ამ ხანებში მიაფორთან მოდის ელენე დედოფლის მხევალი და უამბობს, რომ დედოფალს სურვილი ჰქონა ქრისტიანობის მიღებას. ნინომ სთხოვა მიაფორს, ის გაეცხავენა დედოფალთან. მაშინ მიაფორმა მიმართა პატრიარქს, რომელიც იყო ბიძა ნინოსი. პატრიარქმა აკურთხა დისწული და გაისტუმრა რომში. სასახლეში ნინო დატახლოვდა ვინმე რიტსიმეს, მეფის ოჯახის ნათესავს და მასთან სხვა ორმოცი სულიც მონათლა, ხოლო მას შემდეგ კი, დედოფალი და ძე შინა იმპერატორი კოსტანტინე.

ამის შემდეგ, ნინო რიტსიმეთა და გაიანეთი და კიდევ სხვა 50 სულით გამოემგზავრა საქალაქებლად აღმოსავლეთს. ისინი პირველად მოვიდნენ სომხეთს. აქ სომხთა მეფემ თრიატმა იწამა ნინოს ყველა თანამხლებნი. ასეთ პირობებში ნინო დაჩა განმარტოებულა. იქიდან გამოიპარა და ჯავახეთის გზით ჩამოვიდა მცხეთაში. როდესაც ნინო პირველად უზბნისს მივიდა. მან ნახა, რომ აქ ხალხი თაყვანს სცემდა „ცეცხლსა, ქეათა და ძელთა“.

ნინო ნოვიდა მცხეთაში და დაბინავდა ურიათა უბანში.

ერთ დღეს როდესაც გაიმართა დიდი დღესასწაული კერპის არმაზის პატექსაცემლად, ნინოც დაესწრო ამ ცეკუშონიას. მან აქ პირველად იხილა კერპი არმაზი.

„კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა მისსა ცეკვა ვაჟი-ვი ოქროისი და ჩაფხუტი ოქროისი და სამხარინა“ მარჯვენაზე უდგა ოქროს კერპი გაცი და მარცხნივ ვერცხლის კერპი გა. სოცა მან ვედროება გაათავა, ამ დროს ცაში გაისმა ჭეხილი. დასავლეთის ქარმა დაუბერა და იქაურობა საშინელმა სუნმა მოიცვა, რომლის გამო მთელი ხალხი შეიძრა და ფაქმურა სახლებისაკენ. დაუშვა საშინელი სეტყვა და ეს კერპები მილენ-მოლენა. მეორე დღეს, როდესაც მეფემ კერპების კვალი ველარ ნახა, ფრიად განცვიფრდა. ხალხში შეიქმნა მოთქმა-მოთქმა და აბრალებდნენ ქალღმერთსა ღმერთის ითრუმანის შურისძიებას. ნინო რამდენიმე დღე რჩება არმაზის მიდამოებში და ლოცვაში ატარებს, შემდეგ ბრუნდება მცხეთაში. აქ მან მალე კეთილი ადამიანის სახელი გაითქვა.

ზაფხულის ერთ დღეს, სანადიროდ გასულმა მარიანმა გადასწყვიტა, ზველა ქრისტიანები გაეხადღურებინა. წმ. ნინოსათვის აეკრძალა ქრისტიანობის ქადაგება და ნინა დედოფალიც ისევ წარმართად მოექცია. ეს ამბავი თავის მხლებლებმაც დაუდასტურეს.

სოცა შუადღემ მოაწია, უცბად მზე დაბნელდა და იქეთმა სიბნელემ მოიცვა მთელი არმე-მარე, რომ ერთი მეორეს ველარ ხედავდნენ. მხლებლები შემოეფანტნენ მეფეს. ის მარტო დარჩა და საშინელმა შიშმა მოიცვა. მაშინ მან შიმართა თავის კერპებს, მაგრამ ამაოდ. შემდეგ მიმართა ნინოს ღმერთს და სთხოვა ზველა, და პირობაც დასდო, თუ ის ამ განსაცდელისაგან იხსნიდა, მაშინ მიიღებდა ნინოს სჯულს. ამ დროს გადაიყარა ბურუსმა, მეფე გადარჩა განსაცდელს. დიდებით შემოვიდა მცხეთაში, დაიბარა ნინო და ქრისტიანობა აღიარა. შემდეგ წაიზავნა მოციქულნი საბერძნეთს, მოაყვანა სამღვდელთა. აღაშენა ეკლესიები და ასე დაამყარა ქრისტიანობა. მგავსი მოვლენებისთვის დამახასიათებელია მგავსივე ლეგენდები. მოვიყვანთ ქრთ მგალითს.

რომის იმპერატორს, მარკ-აურელს დიდი ღიძოლა ჰქონდა დანიების ხეობაში (მოჩუვიაში) გერმანული მო-

დგმის ერთ - ერთ ხალხთან.

იყო პაპანაქება სიციხე და ჯარი სიციხითა და წყურვილით იხრებოდა. ყოველივე სომა მიიღო, რომ წყება გამოეწვია, მაგრამ ამაოდ.

მის ლეგიონთა შორის ერთი შესდგებოდა მხოლოდ ქრისტიანებისაგან. ბრძენთა რჩევით მან მიმართა ქრისტიანებს, რათა ერთხოვათ თავიანთ ღმერთისათვის წვიმა. ქრისტიანებმა თხოვნა შეასრულეს; მაშინათვე რომაელთა ბანაკში დაუშვა კოკისპიროულმა წვიმამ, ხოლო მტრის ბანაკში მეხსა ჰყოიდა.

ამ სასწაულის წყალობით გაიმარჯვა მარკ-აურელმა.

ასეთია მოკლედ იბერიის გაქრისტიანების ამბავი ამ ნაწარმოებით. მისი ქრიტიკული შესწავლით შეიძლება ზოგიერთი დასკვნების გაკეთება. პირველი არის ნინოს ვინაობის საკითხი. როგორც ქართული, ისე უცხო წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ის იყო კაპადოკიელი, თუმცა ზოგ უცხო წყაროებში ეს სახელი დამახინჯებულია. მიუხედავად ამ ცნობებისა, ნინოს სახელი ზოგისთვის რჩება ლეგენდარულად.

ივ. ჯავახიშვილმა შემდეგი მოსაზრება გამოსთქვა: ის ამბები რაც წმ. ნინოს ცხოვრებაშია აღწერილი, შეიძლება არსებითად ისტორიულს ამბების გამოძახილი იყოს; ხოლო წმ. ნინო უცხოელი და მკადაგებლის სახით მოსული კი არა, არამედ, ის იყო ქართველი, ადგილობრივი მკვადრი, შეიძლება სამღვდელს პიტი და ქრისტიანობის გავრცელების საქმეში დიდი როლი ითამაშა.

ერთი რამე უდავოა: ნინო ქართველი იყო თუ უცხოელი, მას მიეწერება უმთავრესად იბერიის გაქრისტიანება. ამიტომ შეინახა ერმაც მისი ვითარება განმანათლებლის სახელი. მაშასადამე, ნინოს სადაურობა შეიძლება მიეჩინოთ გაურკვეველად, ხოლო ის იყო უდაო ისტორიული პიროვნება. ქართლის მოქცევისა და მირიანის ამბებშიც კრიტიკას შეაქვს შესწორება. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, რომელიც უმთავრესად ეყარება პეტრე ქართველის ცხოვრებას, იბერიის გაქრისტიანება მომხდარა ბაკურ დიდის დროს და არა მირიანისა, რათ-

234, 127

საქართველოს
პარლამენტის
მდივანის

გან მირიანის მეფობის თარიღად ისტორიის იცნობს 361 წელს, ამაზედ ადრე არ სჩანს მისი მეფობა, და ის გობე-
ლდება 368 წლამდე. მაშინ როდესაც ივ. ჯავახიშვილის
გამოანგარიშებით, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო
სარწმუნოებად გამოცხადება უნდა მომხდარიყო 337 წ.
ლბით ადრე, 337 წ. ახლოს.

ამ მოვლენის შედეგად ცნობილია ერთი ისტორიუ-
ლი ამბავი. ამ ხანებში იბერია სპარსეთთან იყო კავშირ-
ში. ქართველი მეფეები ითვლებოდნენ შახის ვასალებად
და ირანის ჯარების მთავარსარდლებად; ეს მდგომარე-
ობა გაერქმედა მეხუთე საუკუნის მიწურულამდე ე. ი.
ვახტანგ გორგასალის მეფობის მხოლოდ ნახევრამდე, სა-
ნამ ის აუჯანყდებოდა სპარსელებს.

ბაკურ დიდი, რომელიც ითვლებოდა ირანის მთა-
ვარსარდლად, მიწვეული იყო შახის მიერ თავის ბანაკ-
ში. აქ თანახმად სპარსული წესისა, მეფეს უნდა თავყა-
ნი ეცა მზისათვის, რაზედაც მან უარი განაცხადა. შახი
განრისხდა, მაგრამ დასჯა ვერ გაბედა, ეშინოდა ის რო-
მაელესს არ მიმხრობოდა..

მაშასადამე, ის მოვლენა რაც დაკანონებული იყო
298 წ. ნიზიბინის ხსენით, 337 წ. შემდეგ, როცა ბაკურ-
მა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაც-
ხადა, ცეცხლის თაყვანისმცემლობაზედ უარი სთქვა.

ეს ამბავი ამტკიცებს, რომ მესამე საუკუნის მიწურ-
ულსა და მეოთხის დასაწყისში იბერიაში დიდი გარდა-
ტეხა მომხდარა. და თვით სპარსეთის ბატონობის დროს-
ვე ქართველი მეფე ქრისტიანობას სახელმწიფო სარწმუ-
ნოებად აცხადებს. ეს ფაქტი იმასაც ღელადებს, რომ
ქრისტიანობას იბერიაში დიდი ხნით ადრე არ ჰქონოდა
ფესვი გადგმული და გაძლიერებული; ის სწორედ სპა-
რსელების ბატონობის დროს ვერ გამოცხადდებოდა
ოფიციალურ სარწმუნოებად, მით უმეტეს, რომ სპარსე-
თის გავლენა დაკანონებული იყო რომაელების მიერ.

ასე თუ ისე აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევას
აქვს თავისი გრძელი ისტორია. ეს მოქცევა არ ყოფილა
საქმე ერთი საუკუნისა. აქაც უდაოდ პირველ საუკუნე-
ებში შემოიჭრა ქრისტიანობა და ორი-სამი საუკუნის
მანძილსა დასკიბდა, რომ ფეხი მოემაგრებინა. ამ საქმე

ში მთელი რიგ პიროვნებათ უნდა ეთამაშათ როლი. ყოველ შენობებში, გაქრისტიანების მთავარი თარიღი გადმოცემამ წმ. ნინოს სახელს დაუკავშირა. და საერთოდ დასკვნადაც ის უნდა აღენიშნეთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიც, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა შემოჭრილი პირველი საუკუნეებში, მაგარდება მესამეში და ნეთხეში იქცევა სახელმწიფო საწმუნოებად.

4.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება სამ ეტაპად უნდა წარმოვიდგინოთ:

1-2 საუკუნეები იყო მისი შემოჭრისა და გავრცელების ცდების ხანა;

3-4 საუკუნეებში ის მტკიცდება და სახელმწიფო საწმუნოებად იქცევა;

5-6 საუკუნეებში საბოლოოდ იმარჯვებს სხვა საწმუნოებებზედ და საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას აცხადებს.

თუ პირველი ორი საუკუნე იყო ბრძოლა იმისათვის, რომ საწმუნოებას ოფიციალური სახე მოეპოვებინა, მისი მოპოვების შემდეგაც საქმე ვათავებული არ იყო. კიდევ დიდი დრო იყო საჭირო, რომ ის მთელს ერში გავრცელებულიყო. იყო თემები რომელშიც ქრისტიანობამ ბოლომდე ვერ მოიკიდა ფეხი, განსაკუთრებით შიგარდნილ კუთხეებში, სადაც ჩაკტილი ცხოვრების პირობებში წარმართობა ძლიერი იყო და არ იკარებდა ახალ საწმუნოებას. ლეონტი ბროველის, ჯუანშერის და სხვა ისტორიკოსთა ცნობებით, მეექვსე საუკუნეში და გვიანაც მთიულეებში ისევ კერპთაყვანისმცემლობა ყოფილა გავრცელებული, და აქა - იქ ცეცხლ - თაყვანისმცემლობის ნაშთებიც.

ქრისტიანობის ბრძოლა სხვა საწმუნოებებთან სულ მოკლედ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პირველად ის შეეცაბა ეროვნულ წარმართობას. რომ წარმართობა ძლიერი იყო და მას სასტიკად დახვდა, ამას ამტკიცებენ ყველა ისტორიული ძეგლები და თუ ქრისტიანობამ - ის მაინც სძლია, როგორც აღენიშნეთ, ეს იმით აიხსნება, რომ ახალი მოძღვრება უფრო უპასუხებდა ამ დროინ-

დელო ქართველს კულტურულ დონეს, მაშინ როდესაც წარმართობა ვანაგრძობდა თავის არსებობას ერთგვარ ინსტიტუტით, ჩვეულებით; ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესაი. — დასძენს ქართული ანდაზა.

მეორე ძლიერი მტერი იყო სპარსეთის გავლენით შემოჭრილი ზოროასტრის სარწმუნოება. მესამე საუკუნეში სპარსეთის ტახტზედ გაბატონდა სასანელთა დინასტია, რომელმაც ხელი შეუწყო და გააძლიერა ძველი, ეროვნული სპარსული რელიგია. ის იყო დაშეპყრებული ცეცხლის თაყვანისმცემლობაზედ. მთელი ქვეყანა წარმოადგენილია როგორც ორი უზენაესი ღმერთის სამფლობელო. პირველს განაგებს კეთილი ღვთაება აპურმანზდი და მეორეს ბოროტი ღვთაება აპრიმანი. ბრძოლა არის ამ ორი ღვთაებას ე. ი. ბოროტის და კეთილის შორის. ამ რწმენის კვალი შერჩა ქართულ ლიტერატურასაც.

„ბოროტმან სძლია კეთილსა არსება მისი ვრძელია“ სწერს რუსთაველი.

სიანს, ზოგადად ბრინჯაბები ამ რწმენისაც ისე განმტკიცებულა ქართველებში, რომ ქართველთა ხალხურმა წარმოდგენამ ის ბოლომდე შეინახა.

ზოროასტრის სარწმუნოებას მალე სპარსეთშივე გაუჩინდა მეტოქე; ეს იყო მახდებიზმი. მეხუთე საუკუნეში მახდაკმა დაიწყო ახალი მოძღვრების ქადაგება, რომელიც წაგაგუდა აღმჩინდელ უმრავლეს კომუნისმს. ის ქადაგებდა კერძო საკუთრების ნოსპობას, ქონების თანასწორად განაწილებას, წოდებათა მოსპობას და სხ. აქ ეს რწმენა ისე გაძლიერდა, რომ ისტორიული ცნობით, ერთხელ მას კავად მეფეც კი მიმხრობია.

ასე რომ ზოროასტრიზმიც თავის მხრივ იბრძოდა ორ ფრონტზედ: ქრისტიანობისა და მახდებიზმის წინააღმდეგ. სპარსეთის ამ შინაურმა სარწმუნოებრივმა ბრძოლამ საქართველოში, ქრისტიანობას საშუალება მისცა ჯერ ეროვნული წარმართობა მოენელებინა. და მერე სპარსულ სარწმუნოებას დაეტაკებოდა.

თუმცა საბოლოოდ ქრისტიანობა გამარჯვებული გამოვიდა, სამაგიეროდ ქართველი ერის რწმენას შერჩა კვალი ყველა ამ სარწმუნოებათა.

ბრძოლა წარმართობასთან ქრისტიანობას უხდებოდა

არა თანასწორ პირობებში. წარმართობას ეცავდა ოფიციალური მთავრობა. ცეცხლ-თაყვანისმცემლობასთან ეს ბრძოლა პირველად თავისუფალი იყო; ხოლო შემდეგ როცა სპარსთა გავლენა დასყარდა იბერიისზე, მაშინ სპარსელები დიდ ძალას ხმარობდნენ თავიანთი სარწმუნოების გასაერთოებლად. სპარსელები კდევნიდნენ ქრისტიანებს, განსაკუთრებით მათი სარწმუნოებიდან მოქცეულთ. ამ ბრძოლათა კვალი დარჩენილია ქართულ მწერლობაში. „ცხოვრება წმ. შუშანიკისა“ და „ცხოვრება წმ. ევსტატესი“ წარმოადგენენ ცოცხალ საბუთებს ქრისტიანობა - ცეცხლ-თაყვანისმცემლობის შორის დუელით. ამ დეტალურად არის ვადმოცემული ქრისტიანობის უპირატესობა იმდროინდელი ქართველის თვალში; ეს უპირატესობა მტკიცდება იმ ფაქტითაც, რომ ხშირად თვით საქართველოში მყოფი სპარსელებიც იღებდნენ ქრისტიანობას და რაც მათ სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ.

წარმართობასთან ბრძოლის საუკეთესო დოკუმენტია „წამება ცხრათა ძმათა კოლაელთა“. ამ მოთხრობაში აღწერილია ცხრა ბავშვის მეტად ველური წამება მათივე მშობლების მიერ. კოლას თემის ერთ სოფელში, ნახევარი მოსახლეობისა ქრისტიანე ყოფილა, და მეორე ნახევარი წარმართი. თამაშობის დროს, როცა ქრისტიანთა ბავშვები ხარის რეკას გაიგებდნენ, გაჩნდებოდა ეკლესიაში. მათ აღდევნიდნენ ხოლმე წარმართთა ბავშვებიც და ბოლოს ეს უკანასკნელნი ისე გაიტაცა ახალმა სენახობამ, რომ ისინი მშობლების დაუკითხავად მოინათლნენ. როცა ეს ამბავი მშობლებმა შეიტყეს, ჩჩვედნათვის წარმართთა ქურუმს მიმართეს. უკანასკნელმა მშობლებს მისცა მოქმედების სრული თავისუფლება. მშობლებმა კი ცოცხალი ბავშვები ოჩმოში ჩაჰყარეს და ჩაქვადეს. ამ სასტიკი დასჯის მაგალითით საკუთარი შვილებისა; ნათლად სჩანს, თუ რა სასტიკი უნდა ყოფილიყო ბრძოლა ამ ოჩო სარწმუნოების შორის; ქრისტიანების გაქრცელება მთელს ქრში, ცხადია დიდ დროს მოითხოვდა. მისი ნელ-ნელა შეჭრა ხალხის გონებაში დიქიდან ძველი რწმუნის განდევნა ადვილი საქნე არ იყო. ამიტომ, ქრისტიანობას დასჭირდა ხანგრძლივი ბრძოლა და მეცადინეობა, რათა ჯერ ცროგნული წარმართობა დაემარცხებინა და მერე მისი ახალი მეტოქე ცეცხლის-

თავანისმცემლობაც გაეძევიანა საქართველოდან.

პოლიტიკურად ამ დროს საქართველოს ორი ძალი ეცილებოდა ერთი - მეორეს! სპარსეთი და რომი - ბიზანტია. და სარწმუნოებრივი ბრძოლაც მიმდინარეობდა პარსლავლურად პოლიტიკური ბრძოლსა. თუმცა სპარსეთის პოლიტიკური გავლენა ძლიერი იყო, სარწმუნოებრივად ის მაინც დამაჯერებელი იყო, ამიტომ ის იძულებული გახდა ამ დარგში ახალ პოლიტიკას დასდგომოდა, ბიზანტიისადმი დასაპირდაპირებლად.

ამგვარად ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, საერთოდ ექვსწილი შინაგანი და გარეგანი პირობების წყალობით. საქართველოში ქრისტიანობა საბოლოოდ იმარჯვებს. თუ მეორე ფაზაში ჩვენ ის ვნახეთ სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებული, მესამეში ფაქტი ხდება მისი განმტკიცება და როგორც ახლავთ ვნახავთ, ქართული ეკლესია მიიღებს გარკვეულ ორგანიზაციას და თავის დამოუკიდებლობასაც გამოაცხადებს. ამ დღი ლეგონის ჩატარება წილად ხდება ვახტანგ გორგასალს.

ქრისტიანობის უმთავრესი ნაკადი აღმოსავლეთიდან შემოვიდა საქართველოში. მაშასადამე ქრისტიანული კულტურის დარგშიც ის აღმოსავლეთის ზონაში იყო. მაგრამ ბიზანტიის გავლენის ზრდამ მდგომარეობა შესცვალა და ამიქიდან საეკლესიო ორიენტაცია იქცა ერთგვარ პოლიტიკურ საკითხად.

ამ დროს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მომწიფებული იყო და მას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ. ეს იყო სპარსეთის ამდროინდელი სარწმუნოებრივი პოლიტიკა. ამ ხანაში ე. ი. მეხუთე საუკუნის მიწურულში მეფე ვახტანგ გორგასალი სპარსეთში იმყოფებოდა, სადაც დაჩა 7 წელი. ის მაშინ სპარსეთს მეგობრობდა და ითვლებოდა მისი ჯარების მთავარსარდლად. როდესაც სპარსეთიდან დაბრუნდა, თან ჩამოიტანა საეკლესიო რეფორმის გეგმა.

ამ გეგმით მეფე აწესებდა კათალიკოსობას. აქამდე ქართული ეკლესიის თავად ითვლებოდა მცხეთის არქიეპისკოპოსი, მისი სახელი იცვლებოდა კათალიკოსის სახელით და რაც მთავარია, ეკლესია უნდა ყოფილიყო და-

მოუკიდებელი, რომელიც აქამდე კონსტანტინეპოლთან იყო დამოკიდებული. მეფის ასეთმა გეგმამ დიდი წინაღმდეგობა გამოიწვია სამღვდელთაში, რომელთა სათავეშიც იდგა თვით მცხეთის მთავარეპისკოპოსი, ყველგანსა სათვის პატრიარქი პირი მიქაელი.

ეკლესიის ასეთ რეფორმას უდიდესი სიხარული უნდა გამოეწვია პირველ რიგში სწორედ სამღვდელთაში. მაგრამ მოხდა უკუღმა. და რომ ეს მოვლენა ვასაგები ვახდეს, საჭიროა რეფორმის თვით პოლიტიკური მხარე გამოვარკვიოთ. რადგან მეფემ ყოველივე ზომა მიიღო და ეს გეგმა განახორციელა, აი პასუხი აღნიშნულ კითხვაზედ.

451 წლის ქალკიდონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზედ მოხდა განხეთქილება ორ ბანაკ შორის: ერთნი იცავდნენ ქრისტეს ერთ ბუნებრიანობას (მონოფიზიტები), მეორენი—ორბუნებრიანობას (დიოფიზიტები ანუ ქალკიდონიანები).

ამ განხეთქილებას დროს მთელი აღმოსავლეთის: ეგვიპტის, პალესტინის, ასურეთის და სპარსეთის ქრისტიანები მონოფიზიტობას მიემხრნენ. მას ნაწილობრივი გამოძახილი ჰქონდა საბერძნეთშიც. საქართოდ დასავლეთის ეკლესია მიემხრო დიოფიზიტობას. პირველ ხანებში ქართველების უმრავლესობაც მონოფიზიტობის მომხრე ყოფილა. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ დროს მცირე აზიაში მყოფი ქართველი ბერები და მათ შორის სახელგანთქმული პეტრე ივერიელი, ქ. მაიუმის ეპისკოპოსი იყო ერთი შეუღლებელი მონოფიზიტი. პეტრე ქართველი აზიაში უდიდესი გავლენით სარგებლობდა და ცხადია მას თავის თანამემამულეებზედაც ექნებოდა გავლენა, მით უმეტეს, ის იყო წარმოშვებით ქართველი მეფის ძე და დაკავშირებული სამეფო ოჯახთან.

მაგრამ შემდეგში მდგომარეობა შეიცვალა და საქართველოში გაიმარჯვა ქალკიდონიანობამ. მეფე ვახტანგის დროს მთელი საქულისეო უწყება იყო მათ ხელში. თვით ეკლესიის მეთაური არქიეპისკოპოსი მიქაელი იყო განთქმული ქალკიდონიანი. შემდეგი ისტორიული წყაროებიც მიქაელს სთვლიან მართლ-მადიდებლობის მთავარ მტრებად. სწორედ ამდროს მოახდინა ვახტანგმა საეკლესიო რეფორმა. და ამასთანავე მან გადააყენა ძვე-

ლი ეპისკოპოსება, რომ გამოც დიდა უსამოვნება მოუხდა მიქაელთან. მან დანიშნა კათალიკოსად სახალი პრიცი და 13 ეპისკოპოსიც აკურთხებინა. ვახტანგი ამ დროს იყო მონოფიზიტი და მიქაელი თავისი ქალციდონიანი ეპისკოპოსებით ამიტომ გადააყენა. ამ რეფორმის დროს მფერა მოკავშირობას უწევდა მხედრობა. ამ რეფორმის შემდეგ მეფემ ოფიციალურ სარწმუნოებად მონოფიზიტობა გამოაცხადა.

ეს მოვლენა როგორც აღნიშნეთ გამოწვეული იყო პოლიტიკური მიზეზებით. ბიზანტია და სპარსეთიც ამ დროს ხშირად იყენებდნენ სარწმუნოებას თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის; ასე მოიქცა ვახტანგიც, მან გადააყენა მოწინააღმდეგენი და დანიშნა მომხრე პირები.

მაგრამ აქ საინტერესოა სხვა გარემოება. ზემოდ აღნიშნეთ, რომ მონოფიზიტობას უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნები მიემხრენ, ბიზანტია კი შერჩა ქალციდონიანობას.

აღნიშნულ რეფორმამდე ქართველი სამღვდელთა ხელ-დასხმას ბიზანტიის ანუ კოსტანტინეპოლის პატრიარქისაგან იღებდნენ. (ამ დროს ქრისტიანული ეკლესია 4 საპატრიარქოდ იყოფდა: რომის, კოსტანტინოპოლის, იერუსალიმის და ანტიოქიის). მაშ ამ სფეროში ქართველები ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ზემოდ ისიც ვნახეთ, რომ სპარსეთი და ბიზანტია ერთმანეთს ეცოდნებოდნენ საქართველოზედ რელიგიურ უპირატესობისათვის; და როდესაც ვახტანგი სპარსეთში იყო და მათ მეგობრობდა, საეკლესიო რეფორმის გეგმაც სპარსელების გავლენით უნდა ყოფილიყო შედგენილი. ერთი უდათა, რომ ვახტანგი თვითაც უნდა ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობით დაინტერესებული. სპარსელებმა თავიანთი ინტერესი შეუთანხმეს ქართველი მეფის სურვილებს და მათი პოლიტიკა გახანაღდეს. ეს იყო საქართველოს მოწყვეტა ბიზანტიის რელიგიური გავლენისაგან, რაც შესაძლებელი იყო საქართველოს ეკლესიის მიერ სახალი ორიენტაციის არჩევით. ხოლო თუ ვახტანგი მონოფიზიტობას აირჩევდა, ამავე მიმართულების ანტიოქიის პატრიარქისაგან ავტოკეფალიის დასტურს ადვილად მიიღებდა.

სპარსეთის ასეთ პოლიტიკას თავისი ტრადიცია ჰქო-

ნდა. მაგალითად ნეოთხე საუკუნის ბოლოში ანტიოქიაში დაიბადა ახალი დოქტრინა, რომლის ავტორი იყო მღვდელი ნესტორიუსი, და რომელსაც ნესტორიანობა დაერქვა. ეს ამბავი წინ უსწრებდა ქალკედონის ქმნას. ნესტორიუსს მიემხრენ სპარსეთის და ანტიოქიის ქრისტიანები. კოსტანტინეპოლი და რომი სასტიკად შეეზრძოლენ მას და 431 წ. ეფესოს მესამე ყრულობაზედ ისინი შეაჩვენეს. ეს დაპირისპირება ხელსაყრელი იყო სპარსეთისათვის. ამიტომ აღმოსავლეთის ქრისტიანობის ცულის მოსაგებად ვხვდევრდ პირველმა სრული თავისუფლებ. გამოაცხადა ქრისტიანობისა. 410 წ. ნისივე შემწყობით ჩამოყალიბდა სპარსეთის ეკლესიაც. ქრისტიანობისადმი მფარველობა სპარსელებმა პოლიტიკურად იანგარიშეს. ეახტანგის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგის სპარსეთიდან ჩამოტანა, შედგვი უნდა ყოფილიყო სპარსეთის ამგვარი პოლიტიკის გავლენისა. ამიტომ იყო, რომ ეახტანგმა აირჩია მონოფიზიტობა და კათალიკოსობის შემოღებისთანავე, პირველი წყება ეპისკოპოსებისა ანტიოქიის პატრიარქთან გაუზავნა საკურობებლად.

სპარსეთის მსგავს სარწმუნოებრივ პოლიტიკას ადგა რომიც. საილიუსტრაციოდ საკმარისია დაუასახელოთ შემდეგი მაგალითი. ცნობილია, რომ ქრისტიანობა პირველ ხანებში არაბებშიც იყო გაურცელებული. მაჰმადის წინ არაბთა ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, მეორე რომის. არაბთა ამ ნაწილის მთავარი ალ-მუნდირი მონოფიზიტი იყო და ამის გამო მას იუსტინიანე იმპერატორმა მოკვლა გადაუწყვიტა.

ყოველ შემთხვევაში საქართველომ თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობას მიიღწია. ეს რეფორმა მოხდა 472-484 წლებში, ე. ი. მაშინ როდესაც ეახტანგი სპარსელებთან კარგ დამოკიდებულებაში იყო.

ამიერიდან ქართველი კათალიკოსები ერთ ხანს ხელდასხმას იღებდენ ბიზანტიის ნაგიერ ანტიოქიის პატრიარქისაგან. მერე კი ნელ-ნელა დამოუკიდებლობა განმტკიცდება და მედქსე საუკუნეში ეკლესია შეიქმნება სრულიად თავისუფალი.

საეკლესიო ვითარება - იცვლებოდა პოლიტიკურ

ცვლელადობასთან ერთად და საბოლოოდ, როდესაც
სპარსეთის ვაგლენა შესუსტდა და ბიზანტიამ საბოლოოდ
პეგემონია მოიპოვა იბერიაზედ, ქართული ეკლესიაც ის-
ევ დიოფიზიტობას დაუბრუნდა სამუდამოდ.

ზედმეტი არ იქნება აქ მოკლედ შევხებით სომეხ-
ქართველთა საეკლესიო განხეთქილებასაც, რადგან ისიც
პირდაპირი შედეგი იყო უკანასკნელი ცვლილებებისა.
რაკი ქართული ეკლესია დაუბრუნდა დიოფიზიტობას
და სომხური კი ბოლომდე შერჩა მონოფიზიტობას, გან-
ხეთქილება ბუნებრივად უნდა მომხდარიყო. სომხების
საყვედურში, რომ ქართველები სომხებთან და მასასადა-
მე აღმოსავლეთის ეკლესიასთან უნდა ყოფილიყვნენ, ლო-
ლიკს მოკლებული არ იყო, მაგრამ ისტორიის მსულ-
ლობამ თავისი ფაქტანა; და რაკი ქართველები ბიზანტი-
ის ვაგლენის ქვეშ მოექცნენ, დღეს იქნებოდა თუ ზვალ,
მათ სურდათ თუ არა, საქმე ისე უნდა გათავებულიყო,
როგორც ეს მოხდა.

საქართველოს ეკლესიის ორიენტაცია ბიზანტია-
რომის ეკლესიისადმი იქცა აუცილებელ შედეგად თვით
პოლიტიკური ვითარების ევოლუციისა. ამას ისიც უნ-
და დაუნატოთ, რომ იმ ეპოქის ქართლის კათალიკოსი
კირიონი დოგმატიურადაც ყოფილა დაანტერესებული
და ამხედ მიწერ-მოწერა ჰქონდა რომის პაპთანა; და იე-
რუსალიმის პატრიარქთან.

მეორე მხრით, პოლიტიკურად სომხები აღმოსავლე-
თის ორბიტში დარჩნენ და ქართველებსა და მათი გზა
ბუნებრივად იყრებოდა.

ამნაირად ავტოკეფალიის გამოცხადებით, შემდეგ
დასავლეთის ეკლესიასთან დაბრუნებით და სომხეთის
ეკლესიასთან ჩამოცალვებით თავდება ქრისტიანობის და
მისი ეკლესიის საბოლოოდ ჩამოყალიბების ისტორია სა-
ქართველოში.

5.

ქრისტიანობა განმტკიცდა საქართველოში; ის იქცა
ეროვნულ სარწმუნოებად და დაედა ქვაკუთხედად მთე-
ლი ერის ისტორიას, ის გახდა მთავარი ბერკეტი საქარ-
თველოს კულტურული განვითარებისა; სულიერი და
ზნეობრივი ამაღლებისა; სოციალური გაჯანსაღებისა და

ეროვნული იდეის განმტკიცებისა. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ერის ისტორიაში სარწმუნოებას და კერძოდ ქრისტიანობას ისეთი დადებითი როლი არ უთამაშია, როგორც მოხდა ეს საქართველოში.

საქართველოში
საქართველოს 15 საუკუნის ისტორიიდან რომ ქრისტიანობა

საქართველოს 15 საუკუნის ისტორიიდან რომ ქრისტიანობა განმორიცხოთ, დარჩება ისეთი სიცალიერე, რომლის ამოცანებას ჩვენ ვერც ვახერხებთ ვერც ერთი სხვა მდგომარეობის წარმოდგენით. ქრისტიანობა იქცა ერის ცხოვრების კანვად, რომელზედაც ამოიქარვა მისი კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება.

მეხუთე საუკუნიდან შეიქმნა მდიდარი მწერლობა — და ეს უმთავრესად ქრისტიანობის ნიადაგზედ. მე-18-ე საუკუნემდე ერთად ერთი მე-12-ე საუკუნეს აქმოვს საერთო მწერლობა და აქაც თუ რუსთაველს გამორიცხავთ, ბევრი აღარაფერი დაგვრჩებათ. თვით რუსთაველის შემოქმედების მთავარი მორალური საფუძველი ისევ ქრისტიანობის დოქტრინაა. ჩვენში ბევრმა სცადა რუსთაველი აეცდინა ქრისტიანობის და საერთოდ ვიწრო სექტანტურ სარწმუნოებრივი გავლენისათვის, მაგრამ ვინც მის ნაშრომს საფუძველიანად შეისწავლის, დაწმუნდება, რომ მისი შემოქმედების მორალურ და სოციალურ დოგმათა საფუძველმდებელი სწორედ ქრისტიანობაა. ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა. რუსთაველი წარა-მარად ქრისტესა და წმ. სანებაზედ არ ლაპარაკობს, როგორც ეს სხვა, უფრო დაბალი ხარისხის ნაწერებს ახაიათებს, მაგრამ ის ვერ ასცდებოდა და არც სურვილი ჰქონია რუსთაველს ასცდებოდა იმ დიდ კულტურულ ნაკადს, რომელსაც მთელი კულტურული კაცობრიობა ებყრა და რომელიც ქართველი ერის ცხოვრებას ჰფარავდა.

განუწყვეტლავ თავდაცვით ბრძოლებში ჩამბული ერისათვის ძნელი იყო და შეუძლებელიც კულტურულ შემოქმედებაზედ ფიქრი. და აქ გამოდის ეკლესია და მისი წარმომადგენლობა, როგორც ბერკეტი კულტურული ამოქმედებისა. როცა შიგნით, საქართველოში, ყველადფერი იდევნებოდა, სულიერი მამები მიდიან უცხოეთში; შორს, იერუსალიმში, სინას მთაზედ საბერძნეთში, ბულგარიაში, რუმინიაში და სხ. უცხოეთის მიწაზედ ებმან ისინი მსოფლიო კულტურული შემოქმედების ფეხბუქლში. იქ მოღვაწეობენ მტრად განთქმული პიროვნე-

ბანი: პეტრე იბერიელი, ივერთი, პეტრიწი, მთაწმინდე-
ლები და სხ., რომელთა დაუღალავი მუშაობით იქმნება
ქრონოლოგიური მწიქრობა. სთარგმნიან უცხოეთის რჩეულ
ლიტერატურას, სწავნიან ორიგინალურს, აწარმოებენ გა-
დაწერას, შემოაქვთ საქართველოში და ავრცელებენ ხა-
ლხში. ერში შეაქვთ განათლება და ქართველობას გვი-
რში უყენებენ დაწინაურებულ ერებს. მეხუთე საუკუნი-
დან მოყოლებული მცხრამეტე საუკუნემდე ქართული
მწიქრობის ისტორია — იგივე ქრისტიანული მწიქრო-
ბის ისტორიაა.

მეხუთე საუკუნეში პეტრე იბერიელი და შემდეგ,
გიორგი მთაწმინდელი და პეტრიწი იყვნენ ისეთი პირო-
ვნები, რომელთაც მაშინ მოწინავე ქვეყნების კულტუ-
რული საზოგადოება დიდ ანგარიშს უწყევდა. მათ ქრის-
ტიანობის შემოქმედით უცხოეთის კულტურა საქართველო-
ში და მეორე მხრით საქართველოს აცნობდნენ უცხო-
ეთს. სარწმუნოებისავე საბაბით ასობით და ათასობით
ქართველობა მიეშურება საბერძნეთსა და ევროპაში გა-
ნათლების მოსაღებად და შემდეგ უბრუნდებოდნენ თავი-
ანთ ქვეყანას.

ის დიდი მუშაობა, რასაც ქართველი მამები აწარ-
მოებენ უცხოეთში, მე-9-10-ე საუკუნეებიდან გადმოიღის
სამშობლო მიწაზე; აქაც იქმნება კულტურული ცენტ-
რები, რომელთა უმთავრესი ხელმძღვანელები არიან
კვლავ სასულიერო პირები, ან მათი აღზრდილნი. გრი-
გოლ ხანძთელი, ეფრემ მცირე; უფრო გვიან სულხან
საბა ორბელიანი, კათალიკოსი ანტონ პირველი და სხ.
ხელმძღვანელები ჩვენი კულტურული საქმიანობისა, იყ-
ვნენ სასულიერო პირები. სარწმუნოების ნიადაგზედ შე-
იქმნა ჩვენი ხუროთმოძღვრებაც. წაშალეთ საქართველო-
ს მიწაზედ აღმართული ეკლესია - მონასტრები და ამით
ისპობა ჩვენი ხელოვნების ისტორიაც.

ქართული ხუროთ მოძღვრება შემოინახა საეკლე-
სიო ძეგლებში. ამ ძეგლებს დღეს განცვიფრებაში მო-
ყავს უცხოელი. ქართველებს ხუროთმოძღვრება ქრისტი-
ანობამდესაც ექნებოდათ, მაგრამ აქედან ბევრი არ-
ფერი დაგვრჩენია; ის რაც გვაქვს, შექმნილია ქრისტი-
ანობის შემდეგ.

ნობის ნიადაგზედ. ამ ხუროთმოძღვრებაში გამოიმყვანებულა ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭი, მისი სულიერი და ესტეტიური მისწრაფებანი და რითაც იქცა ერის საუნჯედ. აქ ჩასდო ქართველმა ერმა თავისი სული; თავისი შრომა და ქონება და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ერი მას მდგურად იცავდა ნტერთა თარეშსა და განადგურებისაგან. მაშასადამე, ერის შემოქმედების ეს დაჩვიც საფუძვლად დაედო სამშობლოს თავისუფლებისადმი ბრძოლას. ყოველი ეკლესიის, ყოველი მონასტრის, ყოველი ნანგრევის დაცვა, იყო დაცვა სამშობლოსი, მისი ქრთი ნაწილის, მის წინაპართა ნაანდერძევი, ნაამაგარის. ერი ინსტიტუტურად გრძნობდა, რომ ამით ის არ იცავდა მხოლოდ საწმენობრივ დაწესებულებათ, არამედ მის მამა - პაპათა შექმნილ დოვლათს.

თაობიდან თაობამდე ერში იზრდება ამ ქონებათა დაცვის მითი. მას ეწირობოდენ ათასობით გმირები, რათა დაეცვათ მისი ხელუხლებლობა და მითვე უზოუნველყოთ ერის სიცოცხლე.

ქრისტიანობამ დიდი როლი თამაშა სოციალურ ცხოვრებაშიც. მთელი საშუალო საუკუნოების განმავლობაში, ქართველთა ერი ორგვარ ჩაგურას განიცდიდა: ეროვნულს და სოციალურს. ეროვნული ჩაგურა კიდევ მეტად ხელს უწყობდა წინაურ სოციალურ უკუღმარებობად, აზანგრძლივებდა და აძვირებდა ერის დიდი ნაწილის კისერზედ. აქაც ქრისტიანობამ პირველმა აღიმაღლა ხმა. მან პირველმა დაჰგმო ადამიანის დამცირება და ცხოველურ მდგომარეობამდე დაყვანა. მან პირველმა იქადაგა ადამიანთა თანასწორობისუფლებიანობა. იბრძოლა და კიდევაც ნაწილობრივ შესძლო შეენელებინა გამბეზინვარებული ბოროტმოქმედებანი, აღმოცენებული სოციალური უკუღმარებობათა ნიადაგზედ. გიორგი მთაწმინდელი იყო ქრთი ბრწყინვალე მაგალითთა ქართველი ერის ისტორიაში. მას მიჰბაძა დავით აღმაშენებელმა და ერში წესიერება დაამყარა. თუ არა ამგვარი მშვიდობა, ერავე უშესძლებდა თავის ფიზიკურ თავდაცვას და მტრები აღსრულ წაშლიდნ მას პირისაგან მიწისა.

იმ შებენელ საუკუნეებშიაც, როდესაც ადამიანი ჩა-

ლის ფასად იყიდებოდა, ცხი იცლებოდა სისხლიდან, ნადგურდებოდა ფიზიკურად, აქაც სარწმუნოების მეთაურთა აღიმაღლება ხმა და ეს სენიც ნელ-ნელა უკლებულ იქმნა ერის ცხოვრებიდან. ქრისტიანობა მუდამ ვაჟ მოდიოდა სოფლის ხეგვის მცემელი დაგვიტოვებდა და ჩაურულთა. ის იყო მამბილებელი სოციალური გახრწნილებისა და ეროვნული გადაგვარებისა.

უფრო დიდი იყო მისი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს მტერი უმთავრესად აღმოსავლეთიდან მოდიოდა. ქრისტიანობის დამყარებიდან ასეთები იყვნენ: არაბები, სპარსელები, თურქები და მონგოლები. ეს ხალხები ნელ-ნელა ყველა ისლამის რელიგიამ დაიბყრო. მათ მოსაპეს ქრისტიანობა აღმოსავლეთში. საქართველო შერჩა ქრისტიანობას. ის ამ ნიდაგზედ დარჩა ქრისტიანულ დასავლეთთან; რასაც ჰქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, და მეთორმეტე საუკუნის საქართველოს დიდება იყო ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შედეგი. ქრისტიანული საქართველო დაუპირისპირდა მუსულმანურ აღმოსავლეთს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო მისი უცვლელი მტერი. ისლამის მატარებელმა ხალხებმა: არაბ სპარსელებმა და თურქ-სელჯუკებმა თუთხმეტა საუკუნე იბრძოლეს ქართველი ერის დასამორჩილებლად, მის მოსასპობად, და მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. ქართველმა ერმა ღირსეული წინაღობა გაუწია და თავისი არსებობა აქამდე მოიტანა. დიდი ძალა იყო საჭირო, რომ პატარა ერს ასე ხანგრძლივად გაეძლო უამრავი მტრების განუწყვეტელი თავდასხმებისაგან.

შეუძლებელი და წარმოუდგენელიც არის, რომ ქართველი ცხი მარტო თავისი ფიზიკური ძალებით გამკლავებოდა ურაცხე მტრებს. საჭირო იყო რაღაც სხვა ძალა, უფრო ძლიერი, უფრო დაუმარცხებელი, ვიდრე ფიზიკური ძალა. ეს იყო ქართველი ერის შეუდარებელი სული. ქართველი ცხი, რომ დღეს არსებობს, ამას მარტო მის ფიზიკურ ძალას არ უნდა ვუმაღლოდეთ, რადგან ქართველი ხალხი, რაგინდ კარგი მებრძოლი იყოს, მტერი მას ასჯერ აღემატებოდა: და ზრს ერთსა გცემდენ ათასნი ეგრეცა მოყვრუვიანო“, ამბობს რუსთველი.

მაშასადამე, ქართველი ერის საბოლოო გამარჯვების საიდუმლოება მის სულიერ გამძლეობასა და შეუდრეკლობაში უნდა ვეძიოთ; მაგრამ ყოველი სულიერი ძალის გაშლა და ამოქმედება ხდება გარკვეული იდეალის დროშის ქვეშ. თვინიერ იდეალისა სული ინტელექტუალ მდგომარეობაშია; ის მკვდარია საქმისათვის. იდეალი რწმენად უნდა იყოს ქცეული, რწმენა მისი ბიოლოგიური არსებობის ნაწილია. სწორედ ამიტომ ამეტყველებდა სული და ის ახდენს სასწაულებს. ქრისტეს თორმეტმა მოციქულმა, რიცხვით მცირეთ, მაგრამ სულიერად ძლიერთ და უწყვეტი რწმენით შებყრობილთ, მთელი მსოფლიო დაიპყრეს; ისლამის იდეალით აღგზნებულმა არაბებმა, ნახევარი ქვეყნიერება გადასთელეს.

ქართველმა ერმა თავისი ეროვნული ბრძოლის დროშად ქრისტიანობის იდეალი აღმართა. ეს იყო საუკეთესო დაპირისპირება ისლამის მატარებელი მტრის წინაშე. ქართველი ერის ისტორიაში ათასობით წამებულნი ქრისტიანობის საბაბით, იყვნ მსხვერპლნი მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლისა.

ზოგიერთ მოკვდავთ ძა აზრიც გამოსთქვს, თითქოს საქართველო რომ ყოფილიყო მუსულმანური, მას არ დაემართებოდა ის უბედურება, რაც მუსულმან მტრებმა დაატყვებეს თავსო. ჩვენ გვეგონია პირიქით, ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მაშინ საქართველოს გამოცდებოდა მთავარი, სულიერად განმამტკიცებელი ძალა. მას მტერი უფრო ადვილად დასაბნედა, ჩაღბობდა უკანასკნელ ძალას და გაანადგურებდა ძირ - ფესვიანად. თურქთ-სპარსეთის მტოქეობა ამტკიცებს, რომ მათ შორის სჯულის ერთობას არ დაუბრკოლებია პოლიტიკური ბრძოლა. მაშასადამე საქართველოსთან სჯულის ერთობაც, მას თავიდან ვერ ააცდენდა პოლიტიკურ ჩაგვრას. ხოლო დაჩქარებდა მის ეროვნულ სკვდილს. ეს ქეშმარიტება, თანამორწმუნე რუსეთის მაგალითმაც ნათელჰყო. რუსეთის ერთმორწმუნე საზღვდელოებასა და ღერულებს, სპარსეთის ხანებსა და თურქის ფაშებზედ ნაკლებად არ აუოხრებიათ საქართველოს უკლესი ამონასტრები.

უნდა ფაქტაა, რომ ქრისტიანობამ თავისი საუკეთესო წარმომადგენლების საშუალებით დაიცვა და გააძ-

ლიერს მამულის სიყვარულის გრძნობა. ამ წრეში იბრუნებოდა უმთავრესად ეროვნული მოძრაობის იდეა. მტრის საშინელი უღლის ქვეშაც ისინი პირველნი ქადაგობდნ თავისუფლებას. ამხადებდნ მთელ ერს სულიერად და მოსრლოურად, ამ ნიადაგზედ იზადებოდა მტრე ვმოქმედება ალგზნებულ ერს წინ უძღვებოდა.

დავითი, თამარი, გიორგი მესამე, გიორგი მთაწმინდელის სკოლაში აღიზარდნ.

კათალიკოსები, ეპისკოპოსები, მღვდლები და ბერები იბრძოდნ ჯარისკაცების რაგებში. სარდლობდნ ჯარებს. ჩვენს ისტორიას ახსოვს არა ერთი მაგალითი, სამღვდლოების მიერ ბრძოლის მეთაურობისა. ხოლო მტრის მიერ დაბყრობის შემთხვევებში, შეუღრსკალი წინაღმდეგობისა.

1923 წელს ამბროსი კათალიკოსმა პრწყინვალედ დააგვირგვინა იოანე საბანისძისა და ეპისკოპოს საბე მხნელის მამულიშვილოთი ტრადიცია.

როდესაც ყველა ამ ამბებს იგონებთ, როდესაც გადადინართ ისტორიაში და გადახედავთ ჩვენი ეროვნული ბრძოლის მაგალითებს, გული სიხარულით გეცხებათ იმ მრავალფეროვანი თავდადებებით, რომელნიც სრულდებოდნ ქრისტიანობის იდეალით წარმძღვარებული.

ჩვენ არ დაგვჭირდება ამ მაგალითების აღნუსხვა, ეს მთელი ისტორიის მოყოლა იქნებოდა. და ქვეყნარტებას დასაბუთება არც სჭირდება.

15-ტი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობა იყო ქვაკუთხედი ქართველთა ერის სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრობისა. ქართველი ერი გრძნობდა ამ დიდ ძალას, რომლითაც იყო ის შეიარაღებული. ამიტომ სარწმუნოების დაცვა მის შეგნებაში გაიგივებული იყო მამულის დაცვასთან. ის მისთვის არ ზოგავდა არც შრომას, არც ქონებას და თუ საჭირო იყო სიციცხლითაც ეწირებოდა მას.

ოდესაც, როდესაც იცვალნენ დრონი, მთელი ქართველი ერი დიდის სულიერი აღტყინებით იგონებს თავის ეროვნულ ტრადიციას და მუხლმოდსწყით და მოწიწებით გამოსთქვამს თავის უღრმეს მადლიერებას.

პო. მანველიშვილი



ამავე ავტორის გამოვიდა:

1. ვეფხისტყაოსანი და ჩრუსთაველის ზორალური იდეოლოგია. სტამბოლი 1933 წ. გვ. 88 (გამოილია)
2. საქართველოს საზღვრები. პარიზი 1938 წ. გვ. 48 (გამოილია)
3. სოციალური საკითხები. პარიზი 1944 წ. (გამოილია)
4. ქართულ-ფრანგული საუბრის თანამგზავრი. პარიზი 1944 წ. გვ. 64. ფასი 100 ფრანკი.
5. Histoire de Georgie, p. 480, Paris, 1951, Frs 1500:
- რუსეთი და საქართველო. პარიზი 1951 წ. გვ. 448
ფასი 1000 ფრ.
7. ქრისტიანობა საქართველოში. პარიზი 1954 წ. გვ. 32.
ფასი 200 ფრ.

იბეკდება და მოკლე ხანში გამოვა:

1. საკუთრება. პარიზი გვ. 32. ფასი 200 ფრ.
2. მიწის საკითხი საქართველოში. გვ. 48. ფასი 300 ფრ.
3. ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია. გვერ. 64.
ფასი 400 ფრ.